"სამეცნიერო კვლევის შედეგებზე ღია წვდომის პრინციპები და მათი როლი მეცნიერების განვითარებაში."

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019-ის ფარგლებში თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა წარმოგიდგენთ საერთაშორისო კონსორციუმის, EIFL-ის (Electronic Information for Libraries)

ღია წვდომის პროგრამის მენეჯერის, ირინა კუჩმას, ტრენინგს თემაზე -

"სამეცნიერო კვლევის შედეგებზე ღია წვდომის პრინციპები და მათი როლი მეცნიერების განვითარებაში."

მოწვეული სპეციალისტი ისაუბრებს საჯარო და კერძო სექტორში სამეცნიერო პუბლიკაციებზე ღია წვდომის, როგორც მეცნიერებისა და განათლების განვითარების ხელშემწყობი პირობის შესახებ. კერძოდ:

◈ რას გულისხმობს ღია წვდომა?

◈ როგორ მოვიძიოთ ღია წვდომაში არსებული სამეცნიერო ინფორმაცია?

◈ როგორ გამოვაქვეყნოთ სამეცნიერო შრომა ღია წვდომის ჟურნალში ან რეპოზიტორიუმში?

◈ ღია წვდომის მოძრაობის მიღწევები და პრობლემები - გეგმა S (Plan S) და მისი ზეგავლენა ქართული მეცნიერების განვითარებაზე

აგრეთვე, სტუმარი დამსწრე საზოგადოებას გაუზიარებს საერთაშორისო გამოცდილებასა და სტანდარტებს.

◈ ამავე დღეს გაიმართება ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ღია წვდომის ელექტრონული სერვისების პრეზენტაცია.

ღონისძიებაზე ვიწვევთ პროფესორებს, მკვლევარებსა და სტუდენტებს ყველა სასწავლო ან კვლევითი დაწესებულებიდან.

დასწრება თავისუფალია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის!

ინფორმაცია მოწვეული სტუმრის შესახებ :

ირინა კუჩმა არის ღია წვდომის პროგრამის მენეჯერი EIFL.net კონსორციუმში. ირინა მართავს EIFL ღია წვდომის პროგრამას (EIFL-OA) 2008 წლიდან. მისი პასუხისმგებლობები მოიცავს ღია წვდომასთან დაკავშირებული მთელი რიგი საქმიანობის შემუშავებას, მიწოდებასა და შეფასებას.

ირინას საქმიანობის შედეგად EIFL-OA– ს მრავალი მიღწევა აქვს, მათ შორის 1100 – ზე მეტი ღია წვდომის რეპოზიტორიუმისა და 4000 – ზე მეტი ღია წვდომის ჟურნალის დაარსება EIFL– ს პარტნიორ ქვეყნებში, რაც წარმოაჩენს მსოფლიოში ახალი ცოდნისა და კვლევების სიმდიდრეს. პროგრამა ასევე მხარს უჭერდა EIFL– ს პარტნიორ ქვეყნებში 135 ღია წვდომის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შექმნას.

განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ღია წვდომის ექსპერტს, ირინას, ხშირად იწვევენ კონფერენციებსა და ღია წვდომის ღონისძიებებზე საკვანძო მოხსენების გასაკეთებლად.

ირინა არის ღია წვდომის ჟურნალების დირექტორიის (DOAJ) მრჩეველთა საბჭოს, DSpace საზოგადოების მრჩეველთა გუნდისა (DCAT) და NDLTD (ქსელური დისერტაციების ციფრული ბიბლიოთეკა) დირექტორთა საბჭოს წევრი.

2013 წელს ირინამ მიიღო ელექტრონული საგამომცემლო ფონდის (EPT) განვითარების წლიური ჯილდო, "განვითარებად ქვეყნებში სამეცნიერო პუბლიკაციებზე ღია წვდომის მიღწევის ხელშეწყობაში" შეტანილი წვლილის აღსანიშნავად.

EIFL– ში შესვლამდე, ირინა მუშაობდა საერთაშორისო რენესანსის ფონდში (სოროსის ფონდის ქსელის ნაწილი, ინფორმაციული პროგრამის მენეჯერი) და ასევე კოორდინირებდა ხელოვნებისა და კულტურის პროგრამას.

ირინას მიღებული აქვს კულტურული კვლევების მაგისტრის ხარისხი ეროვნულ უნივერსიტეტში (”კიევი-მოჰილას აკადემია”, უკრაინა).

ენები: უკრაინული, ინგლისური, ფრანგული, პოლონური, რუსული